ISSN 1512-1801

The 3rd Teacher Conference "University and School"(Problems of Teaching and Education)
5-6 Desember, 2014, Materials

მოსწავლე, როგორც მასწავლებლის ადამიანური რესურსი

ნინო მასურაშვილი
სურამის I საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის სერტიფიცირებული მასწავლებელი

ანოტაცია

ადამიანური რესურსები მუდმივად სჭირდება მასწავლებელს. ამ მხრივ ყველაზე ხელსაყრელი და საინტერესოა მოსწავლის როლი . მასწავლებლისა და მოსწავლის თანამშრომლობა სწავლა--სწავლების პროცესის განუყოფელი და გუნებრივი პროცესი უნდა იყოს. თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემა წარმოუდგენელია ამ ასპექტების გარეშე.

სწავლების ნებისმიერი მეთოდი შეიძლება მივუსადაგოთ მოსწავლესთან თანამშრომლობას. ურთიერთობის დემოკრატიული ფორმები საშუალებას იძლევა , რომ მოსწავლემ აქტიური მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესის წარმართვაში.

სტატიაში აღწერილი სიტუაციები ავტორის პედაგოგიური პრაქტიკიდან არის წარმოდგენილი და დაეხმარება კოლეგებს აღნიშნული რეკომენდაციები პრაქტიკაში დანერგონ. მოსწავლის როლი წარმოდგენილია შემდეგი მიმართულებებით:

1. მოსწავლეთა ურთიერთსწავლება ჯგუფური მუშაობისას. 2. მოსწავლე --- მასწავლებელი. 3. დავალებას მოსწავლე ამოწმებს. 4. მოსწავლე ქმნის ისტ რესურსებს. 5. ინტეგრირებულია გაკვეთილზე, როგორც დამხმარე მასწავლებელი. 6. მოსწავლის როლი ინკლუზიური სწავლებისა და კლასგარეშე ღონისძიებების წარმართვაში .

სტატიას თან ერთვის მასწავლებლის სამახსოვრო, რომელიც პედაგოგის მრავალწლიანი გამოცდილების შედეგად არის შემუშავებული.

საკვანძო სიტყვები *თანამშრომლობა, ურთიერთსწავლება, ინკლუზია, ეფექტური მეთოდები, ფასილიტატორი, სკაფოლდინგი. პედაგოგიური პრაქტიკა , უნარ-ჩვევები.*

საგანმანათლებლო საკითხებზე საუბარი იოლი არ არის, კაცობრიობის ისტორია ამ პრობლემებით დატვირთული თემის შესახებ უამრავ ხერხსა და მეთოდს გვთავაზობს. მიუხედავად ამისა, შეუძლებელია ახალი დამოკიებულებისა და მიდგომების გარეშე, სტატიკურ მდგომარეობაში წარმოვიდგინოთ სასწავლო-სააღმზრდელო მეთოდების სისტემა. სწავლების მეთოდი მასწავლებლის მიზანმიმართული ქმედებაა, მოსწავლეთა შესაბამისი კომპეტენციების განსავითარებლად. მეთოდის შერჩევისას უნდა განისაზღვროს გაკვეთილის მიზანი და სავარაუდო შედეგი, შეესაბამება თუ არა აქტივობას, მოსწავლეთა შესაძლებლობებს, ტექნიკურად შესაძლებელია თუ არა მისი განხორციელება . მეთოდის შერჩევა და

ISSN 1512-1801

რესურსების შესაბამისობა მასწავლებლისათვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო სამუშაოა.

ადამიანური ფაქტორი ხშირად განაპირობებს ჩვენს წარმატებასა თუ წარუმატებლობას. ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო რესურსი კი თვითონ მოსწავლეა. როგორც წესი, მასწავლებლებს არ გვყავს ოფიციალური ფასილიტატორები, მოსწავლეს კი არაჩვეულებრივად შეუძლია ჩვენი დახმარება, სათანადო მომზადებისა და მეთვალყურეობის შემთხვევაში ჩვენი ჩანაცვლებაც კი. ურთიერთსწავლება ახალი ნამდვილად არ არის, მაგრამ ისიც ვიცით, რომ ამ საშუალებას ძირითადად არ მიმართავენ მასწავლებლები. არაერთმა წარმატებულმა მცდელობამ განაპირობა, რომ ეს მეთოდი დამენერგა და აქტიურად გამომეყენებინა ჩემს პრაქტიკაში .

ჯგუფური მუშაობა ურთიერთსწავლებით

მეთოდი ითვალისწინებს ტექსტის წაკითხვას ჯგუფურად. ძირითადად ოთხი აქტივობით ხორციელდება ეს პროცესი :

1. კითხვისას ბუნდოვანი ადგილების ახსნა-განმარტება;
2. ვარაუდების გამოთქმა;
3. კითხვების დასმა .
4. წაკითხულის შეჯამება ;

ეს აქტივობები მნიშვნელოვანია შეგნებული და გააზრებული კითხვის ჩვევის განსამტკიცებლად. თითოეული მათგანი კომპლექსურ უნარებს ავითარებს.

მოსწავლები ინიშნავენ **ბუნდოვან ადგილებს** . იყენებენ კითხვის სხვადასხვა სტრატეგიას --ხელახლა კითხულობენ წაკითხულს, აკვირდებიან კონტექსტს, ლექსიკურ ერთეულებს, საჭიროების შემთხვევაში კონსულტირებისათვის მიმართავენ მასწავლებელს. ტექსტზე მუშაობის დასრულების შემდეგ ჯგუფი აკეთებს პრეზენტაციას. ყოველ წევრს მოუწევს ოთხივე აქტივობის შესრულება, რადგან როლები იცვლება .

ტექსტის ტიპიდან გამომდინარე, სხვადასხვა ვარაუდები შეიძლება გამოითქვას, (ტექსტის წაკითხვამდე, ან წაკითხვის შემდეგ) თუნდაც იმის შესახებ, როგორ გაგრძელდება მოქმედება , რა შეიძლება მოხდეს, რა ვერ წარმოუდგენიათ ...

რაც შეეხება კითხვების დასმას, კარგია, როცა მოსწავლეები მოინიშნავენ სამიზნე სიტყვებს და მათი გამოყენებით სვამენ კითხვებს .

წაკითხულის შეჯამების შემდეგ (თუნდაც რეზიუმეს სახით) გადადიან ახალ მონაკვეთზე და ცვლიან დავალებებს .

ამ მეთოდის გამოყენება სწავლების სამივე საფეხურზეა შესაძლებელი , მასწავლებლის ხელოვნებაზეა დამოკიდებული მისი მოდიფიცირება კლასისა და კონკრეტული მოსწავლის საჭიროებიდან გამომდინარე.

მოსწავლე - მასწავლებელი

ნებისმიერ კლასში არსებობენ ისეთი მოსწავლეები, რომელთაც შეუძლიათ თანაკლასელის დახმარება . სიამოვნებითა და პასუხისმგებლობით ეკიდებიან ისინი ამ

ISSN 1512-1801

საქმეს , უძველესი დროიდან გამოიყენებოდა ეს საშუალება და დღესაც უმნიშვნელოვანესია . ამ შემთხვევაში სარგებელს ორივე მხარე იღებს -- ვისაც ეხმარებიან და ვინც ეხმარება.

მასწავლებელი ვალდებულია მონიტორინგი გაუწიოს პროცესს და საბოლოოდ გაარკვიოს, რა შედეგზე გავიდა მოსწავლეთა თანამშრომლობა .

სხვადასხვა დროსა და სივრცეში შეიძლება განხორციელდეს აღნიშნული აქტივობა .

1. საკლასო ოთახში გაკვეთილის მსვლელობისას .
2. გაკვეთილების შემდეგ.
3. სახლში ორივე მხარისა და მათი მშობლების შეთანხმების საფუძველზე.

ნებისმიერ შემთხვევაში მიზნის მიღწევა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მასწავლებლის მეთვალყურეობაზე, როცა მოსწავლემ იცის, რომ ჩვენ წინაშეა ანგარიშვალდებული, მისი პასუხისმგებლობა მაღალია . იმ შემთხვევაში, თუ ვთხოვთ დახმარებას და შედეგს არ შევამოწმებთ , ორივე მხარე მოდუნდება და მათი თანამშრომლობაც ვერ შედგება. პირველ ორ შემთხვევაში (საკლასო ოთახში გაკვეთილის მსვლელობისას და გაკვეთილების შემდეგ) აუცილებელია მასწავლებლის მეთვალყურეობა. ამ დროს მნიშვნელოვან ინფორმაციას ვიღებთ მოსწავლეთა შესახებ .

დავალებას მოსწავლე ამოწმებს

ძირითადად საშინაო დავალების შემოწმების ორგვარი სტანდარტი არსებობს --- ე.წ. ჩამოვლით და ნაშრომის წაკითხვა, შეცდომების გასწორება.მასწავლებელს ყოველდღიურად უხდება დავალების შემოწმება, ეს პროცესი შესაძლებელია მოსწავლემ წარმართოს. წინასწარ შემუშავებული გვაქვს კრიტერიუმები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს ნაწერი.
(კალიგრაფია, აბზაცი, მოცულობა, სათაურის გაფორმება, წერის კულტურა...) , ჩამოვლით შეუძლებელია წაკითხვა. ვისი ნაშრომიც გამოვლინდება საუკეთესო ამ კრიტერიუმების მიხედვით, ან წაკითხვისა და სათანადო კომენტირების შედეგად წარმოჩინდება... მეორე დღეს ისინი ამოწმებენ დავალებას. მოსწავლეებს ძალიან ეხალისებათ ეს პროცესი და პასუხისმგებლობითაც უდგებიან, რაც მთავარია, არ იჩენენ მიკერძოებას . შემოწმების შემდეგ აკეთებენ განმავითარებელ შეფასებებს .

რაც შეეხება დავალების წაკითხვას და შეცდომების გასწორებას, ამ შემთხვევაშიც მნიშვნელოვანია მოსწავლის როლი. გააჩნია დროს, სიტუაციასა და გაკვეთილის ფორმატს. მოსწავლეები ცვლიან რვეულებს და ფანქრით ამოწმებენ ერთმანეთის დავალებებს. შემდეგ ახდენენ შეცდომების კლასიფიკაციას წინასწარ შედგენილი ცხრილის მიხედვით. იმის შემდეგ, როდესაც მასწავლებელი გადახედავს მათ მიერ მონიშნულ შეცდომებს, შეიძლება ფერადი პასტითაც გასწორდეს. ტიპური შეცდომები დაფაზე იწერება, შეიძლება, ფორმატზეც და კლასში ან დერეფანში გამოიკრას რამდენიმე დღით .

ISSN 1512-1801

გარდა ამისა, ყოველ გაკვეთილზე შეიძლება მართლწერის წუთები გამოიყოს, რამდენიმე შეცდომა კონტექსტში (თუნდაც ერთი) დაიწეროს დაფაზე და გაანალიზდეს.

მოსწავლე ქმნის ისტ- რესურსებს

ელექრტონულ ფორმატში რესურსების შექმნა სისტემატურად უხდება მასწავლებელს. ინტერნეტსივრცე უამრავ მასალას გვთავაზობს , მაგრამ არ არის იოლი მათი ეფექტური გამოყენება. ჩვენი დაკვირვება და სისტემური კვლევები მოწმობს, რომ მოსწავლეები ისტ ტექნოლოგიებს ყველაზე ნაკლებად საგანმანათლებლო მიზნებისათვის იყენებენ. მასწავლებლის მცდელობა, ეს რეალობა შეცვალოს სასწავლო მიზნების სასიკეთოდ, უპირობოდ იქნება შედეგის მომცემი.

მოსწავლეები დაწყებით საფეხურზევე სწავლობენ საპრეზენტაციო პროგრამებს, ფლობენ საძიები სისტემების მოხმარების უნარებს, ამიტომ არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს მათთვის სათანადო და საჭირო რესურსების შექმნა, ნებისმიერი აქტივობისას შესაძლებელია სწავლა-სწავლების პროცესი გავამდიდროთ ისტ ტექნოლოგიით.

დღეისათვის ხელმისაწვდომია **Microsoft Partners in Learning** -ის უფასო ინსტრუმენტების საშუალებით უნიკალური რესურსების შექმნა. კარგია, როდესაც მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად განიხილავს ამ ინსტრუმენტებს, შემდეგ კი საუბრობენ იმის შესახებ როდის და როგორ, რატომ და რისთვის აპირებენ მათ გამოყენებას.

http://learntechnolog.blogspot.com/ -- ამ ბლოგზე რესურსების შექმნის თანამედროვე სასწავლო ინსტრუმენტებია განთავსებული, მათი გამოყენება სულაც არ არის რთული, მთავარია, ვიცოდეთ, რა გვსურს შევქმნათ და რა მიზანს ემსახურება ეს რესურსი .

მასწავლებელს უნდა ჰქონდეს ე.წ. რესურსბანკი (თუნდაც ბლოგის სახით) , რომელზეც მოსწავლის შექმნილი რესურსები აიტვირთება. ყველამ იცის, რომ რესურსის შექმნა დროსა და ენერგიას მოითხოვს, ამიტომ ამ მასალას სხვა შემთხვევაშიც გამოვიყენებთ და ჩვენს კოლეგებსაც ექნებათ შესაძლებლობა, ისარგებლონ საჭიროების შემთხვევაში .

ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის არის , რომ შევძლებთ მოსწავლეებმა სასწავლო მიზნით გამოიყენონ თანამედროვე ტექნოლოგიები. სასიცოცხლო და აუცილებელი უნარები გამოუმუშავდეთ აღნიშნულ პროცესში. ამ მიმართულებით მოსწავლეთა ჩართულობა ყოველთვის მაღალია, თვით ყველაზე ზარმაც მოსწავლესაც კი ეხალისება კომპიუტერთან მუშაობა, იგი ქმნის, იძიებს, ამონტაჟებს ... და თვითონაც სასწავლო მიზნისაკენ ხდება მიმართული .

ინტეგრირებულია გაკვეთილზე, როგორც დამხმარე მასწავლებელი

თანამედროვე ჰუმანიზმის პრინციპებზე დამყარებული საგანმანათლებლო სისტემა, ითვალისწინებს მასწავლებლისა და მოსწავლის როლების შეცვლას, რაც გულისხმობს ავტორიტარული, მასწავლებელზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის შეცვლას მოსწავლეზე ორიენტირებულით. ინტერაქტიური სწავლება საჭიროებს გაკვეთილის პროცესში სწავლების ალტერნატული სტრატეგიებისა და შეფასების ახალი ხერხების

ISSN 1512-1801

დანერგვას. შესაბამისად, სწავლების მიზანიც იცვლება. იგი ორიენტირებულია არა მარტო ცოდნაზე, არამედ უნარ-ჩვევების გამომუშავებაზეც.

იმაზე სახალისო და იმავდროულად საპასუხისმგებლო რა უნდა იყოს მოსწავლისათვის, ვიდრე მასწავლებლის როლის შეთავსება გაკვეთილზე. მასწავლებლისა და მოსწავლის წინასწარ დაგეგმილი შეთანხმების საფუძველზე შესაძლებელია, გარკვეული როლი მოსწავლემაც შეასრულოს. მაგალითად : მოიძიოს ახალი მასალისათვის საჭირო ინფორმაცია, შექმნას პრეზენტაცია, სქემა, პლაკატი , დიაგრამა ... და ა.შ. განსაზღვრულ დროს იგი კლასის წინაშე წარდგება და დაეხმარება მასწავლებელს გაკვეთილის რომელიმე ეტაპის წარმართვაში. ამ პროცესს წინ უნდა უძღვოდეს, მასწავლებლის მიერ ახალი მასალის ახსნა -განმარტება იმ მოსწავლისათვის , რომელიც იქნება მისი პარტნიორი .

მოსწავლეებისათვის მიმზიდველია ასეთი როლი , ამიტომ გაკვეთილზე ჩართულობა და უკუკავშირი მაღალია. ნებისმიერ მოსწავლეს შეუძლია გარკვეული ფუნქცია

შეითავსოს ამ ასპექტი , ამ მეთოდის პოზიტიურობა ის არის, რომ მოსწავლის მოტივაცია, ინტერესი და მოლოდინები მაღალია, ეს კი აუცილებლად აისახება კონკრეტულ და საბოლოო შედეგებზე.

ეს მიდგომა კოლაბორაციულ პრინციპებს ეფუძნება, აქტივობის დრო, რესურსები, შეფასების კრიტერიუმები განსაზღვრულია, რაც თავისთავად უკვე პარტნიორობაა.
ამ სქემის მხარდაჭერა ნიშნავს მოსწავლეებისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების გამოვლენას, მასწავლებლის მხრიდან მათთან თანამშრომლობასა და წახალისებას. უმნიშვნელოვანესია პროფესიული ორიენტაციის თვალსაზრისით.

მოსწავლის როლი ინკლუზიური სწავლებისას

სხვადასხვა საჭიროებისა და შესაძლებლობების მოსწავლეთა ჩართვა სასწავლო-საგანმანათლებლო პროცესში ყოველი მასწავლებლის საზრუნავია. ვიტყოდი, რომ საკმაოდ რთული, შრომატევადი და გარკვეულ შემთხვევაში წინააღმდეგობებით სავსე. ვგულისხმობ იმ შემთხვევებს, როდესაც საზოგადოების დამოკიდებულება სსსმ მოსწავლის მიმართ გულგრილი და უპასუხისმგებლოა. მქონია შემთხვევა, როდესაც მშობლები ცდილობენ, ასეთი მოსწავლეებისაგან შორს იყოს მათი შვილი, რადგან ისიც ,,იჩაგრება" ... მასწავლებლის პროფესიონალიზმზეა დამოკიებული ასეთი სიტუაციების მართვა და პრობლემების მოგვარება. ყველაზე რეალური და საიმედო კი ამ დროს თვით მოსწავლეები არიან, სათანადო საუბრები, რეკომენდაციები, სიტუაციური ამოცანები თუ ადამიანური ურთიერთობები გვეხმარება, რომ მოსწავლეებმა ითანამშრომლონ ჩვენთან. ისინი არაჩვეულებრივად ართმევენ თავს იმ კონკრეტულ დავალებებსა და ვალდებულებებს, რომელიც თანაკლასელზე ზრუნვით არის განპირობებული. საბოლოოდ კი მათ შეუძლიათ მნიშვნელოვანი დახმარება გაგვიწიონ ჩვენ, თნაკლასელს და საკუთარ თავს. სწავლობენ ადამიანურ ურთიერთობებს, სხვაზე ზრუნვას, უვითარდებათ სოციალური უნარ-ჩვევები და ყალიბდებიან საზოგადოების სრულფასოვან წევრებად. იმ ადამიანებად, რომლებსაც

ISSN 1512-1801

ეცოდინებათ, რომ ყველა ადამიანი თანასწორია და შეზღუდული უნარი არ ნიშნავს საზოგადოებისაგან გარიყულობას. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ნიჭიერი მოსწავლის ინკლუზიაშიც გვეხმარება აღწერილი დამოკიდებულება. გარდა იმისა, რომ მასწავლებელი მათთან ისგ-ით მუშაობს, ურთიერთდახმარების პროცესში მათი როლი საგულისხმოა.

მოსწავლე - კლასგარეშე და სკოლისგარეშე აქტივობების განხორციელებისას

ერთფეროვნება ნებისმიერი ადამიანისათვის მოსაწყენია, მითუმეტეს, მოსწავლისათვის. სწავლის პროცესი დამღლელი და მოსაბეზრებელი არ იქნება, თუ მასწავლებელი ხშირად გამოიყენებს მრავალსახოვან აქტივობებს. ნებისმიერი განსხვავებული ფორმატი, მიზნობრივად დაგეგმილი და განხორციელებული , ეფექტურ სასწავლო გარემოს ქმნის. ვიცი, რთულია ერთი ადამიანისათვის მისი დაგეგმავა და მართვა. მოსწავლეებს შეუძლიათ დაგვეხმარონ და ყველაზე სერიოზული პრობლემებიც კი გადაჭრან. პროცესი უნდა მიმდინარეობდეს ორგანიზებულად. იგეგმება აქტივობა, მოსწავლეებთან ერთად (გონებრივი იერიშით) კეთდება რესურსებისა და განსახორციელებელი ამოცანების ნუსხა . შემდეგ კი ყველა ინაწილებს იმ საქმეს, რომლის განხორციელებაც შეუძლია. მოსწავლეები ამ დროს თანამშრომლობენ მშობლებთან და ამხანაგებთან). დამერწმუნებით, რომ ამგვარი ჩართულობით განხორციელებული აქტივობა ყველასათვის სახალისოა, ყოველი ასეთი მუშაობა ხდება ახალი აქტივობის საფუძველი და იდეების გენერაცია მოსწავლეთაგან მოდის .

მასწავლებლის პროფესიონალიზმზეა დამოკიდებული, რამდენად ეფექტურად შეძლებენ მოსწავლეები აღწერილი პროცესის მიზანდასახულ განხორციელებას .

<u>უნარები, რომელიც ზემოაღნიშნული პროცესების განხორციელებისას ვითარდება</u>

სოციალური, კომუნიკაბელური, კოლაბორაციული, დამოუკიდებელი ქმედების , პრობლემის გადაჭრის, აზროვნების, პასუხისმგებლობის, ისტ-ტექნოლოგიების სასწავლო მიზნით გამოყენების ...

მასწავლებლის სამახსოვრო

1. ხშირად წარმოიდგინე შენი თავი მოსწავლის როლში.
2. ეცადე, მოსწავლის შესაძლებლობები გამოიყენო მისი და სხვების სასარგებლოდ.
3. არ არსებობს მოსწავლე, რომელსაც არ შეუძლია შენთვის გარკვეული დახმარების გაწევა სწავლა -სწავლების პროცესში .
4. ენდეთ მათ, დაავალეთ ის, რისი გაკეთებაც შეუძლია .
5. დააფასე მოსწავლის მიერ გაწეული ნებისმიერი დახმარება , შრომა და პოზიტიური მოქმედება .
6. დაიხმარე მოსწავლე, თუნდაც მისი დახმარება არ გჭირდებოდეს.

ISSN 1512-1801

7. ეცადე, ისეთი აქტივობები განახორციელონ, როდესაც თავს მასწავლებლის პოზიციაში წარმოიდგენენ .
8. არასოდეს დაამცირო და რეკომენდაციები მიეცი ფრთხილად, კარგია, როცა თვითონ აღმოაჩენს საკუთარ შეცდომებს .
9. არ გადაარჩიო მოსწავლეები აკადემიური მოსწრების მიხედვით . ცუდი მოსწავლე არ არსებობს !!!
10. მუდამ გახსოვდეს, რომ შენი მოსწავლის სულზე იწერება ყველაფერი... კარგიც და ცუდიც.

გამოყენებული ლიტერატურა :

1. მასწ. პროფ. განვ. ეროვნული ცენტრი - სწავლების სტრატეგიები, თბილისი, 2011 წელი